

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის გადაწყვეტილება №1/3, 22.01.2018

რექტორი _____ ი. შარაბიძე



ეთიკის კოდექსი

ND 2-O20

შეთანხმებულია:

რექტორის მოადგილე _____ აბდულ კახიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი _____ რუსუდან ყიფიანი

შემუშავებულია:

იურიდიული დეპარტამენტის იურისტი _____ მარიამ მგელაძე

იურიდიული დეპარტამენტის იურისტი _____ ნინო ლოლობერიძე



შინაარსი

1	ნორმატიული ბაზა	3
2	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები	3
3	მუხლი 1. ზოგადი დებულებები	6
4	მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მიზნები და ამოცანები	6
5	მუხლი 3. ეთიკის სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები	7
6	მუხლი 4. აკადემიური პერსონალი და მასწავლებელი	8
7	მუხლი 5. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეთიკის ნორმები	10
8	მუხლი 6. სტუდენტთა ქცევის ეთიკის ნორმები ეთიკის კოდექსი	12
9	მუხლი 7. სტუდენტის ქცევის ეთიკის პრინციპები	12
10	მუხლი 8. სტუდენტის ეთიკური ვალდებულებები	12
11	მუხლი 9. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები	13
12	მუხლი 10. პასუხისმგებლობა ეთიკის საერთო წესების დარღვევისათვის	14
13	მუხლი 11. დასკვნითი დებულებები	14
14	მუხლი 12. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა	14
15	გავრცელების არე	15

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის აჩვენაო ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის "ღირებულებები". რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ასლი მიათვლება როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ბარიბის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



1. საკანონმდებლო ბაზა

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“
2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
3. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ND 1-01-02;
3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესი;
5. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულება;
6. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
7. დოკუმენტაციის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
8. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
9. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2-Q05-03;

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. ტერმინები

- 2.1.1. **სტუდენტი** – პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და საზღვაო აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს მოკლევადიან, სასერტიფიკატო, პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- 2.1.2. **აკადემიური პერსონალი** – პროფესორების ერთობლიობა - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;
- 2.1.3. **პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- 2.1.4. **ასოცირებული პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- 2.1.5. **ასისტენტ-პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
- 2.1.6. **ასისტენტი** – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის ანგარიშ ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;
- 2.1.7. **მოწვეული მასწავლებელი** – უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც აირჩევა/ინიშნება სენატის მიერ დადგენილი წესით, კონკურსის გზით და რომელიც უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს (საჭიროების შემთხვევებში შეიძლება გაუძღვეს სალექციო კურსსაც) აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ სასწავლო კურსებზე (საათებზე). მასწავლებლები მოიწვევიან განსაზღვრული საათების ჩასატარებლად მოკლევადიანი კონტრაქტით, საათობრივი ანაზღაურების წესით. მოწვეულმა მასწავლებელმა შეიძლება დაიკავოს მასწავლებლის, ან უფროსი მასწავლებელი პოზიცია მიღებული განათლების, გამოცდილებისა და დამსახურების შესაბამისად.
 - 2.1.8. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** (ტექსტში - უსდ) – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს);
 - 2.1.9. **პერსონალი** - საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობის პირები და ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები;
 - 2.1.10. **ადმინისტრაციული პერსონალი** - რექტორი, რექტორის მოადგილე (ები), აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.
 - 2.1.11. **დამხმარე პერსონალი** - საშტატო ნუსხით განსაზღვრული დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, მათ შორის, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

შემოკლებები.

1. **ND** – ნორმატიული დოკუმენტი;
2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩევრი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებები“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



პრეამბულა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდეგში - აკადემია) ღებულობს ვალდებულებას დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით, აკადემიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ადამიანის უფლებები და ყოფით ცხოვრებაში, ტრადიციულად დამკვიდრებული ადამიანის პატივი და ღირსება.

სტუდენტები და აკადემიის თანამშრომლები (ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალი) იღებს ვალდებულებას შეასრულონ იგივე კანონმდებლობა, დაიცვან წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით და ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებები.

საზღვაო აკადემია წარმოადგენს დიდი საგანმანათლებლო ისტორიის მქონე კერას. მისი საქმიანობა ეფუძნება ჰუმანურობის, ტოლერანტობის, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს და სათანადოდ აფასებს ინტერპერსონალური დამოკიდებულების მნიშვნელობას, მიუხედავად მათი ეთნიკური, გენდერული, სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთანხმდებით შემდეგ ეთიკურ წესებსა და ნორმებზე:

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

მიუხედავად არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ეტიკის კოდექსი (შემდგომში - „ეთიკის კოდექსი“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების“, „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის“, „დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
2. ეტიკის კოდექსით განისაზღვრება აკადემიის თანამშრომლებისა და სტუდენტების ქცევის სავალდებულო ნორმები, მოცემული ნორმების დარღვევის გამო გადაცდომის პირობები, ფარგლები და დისციპლინური წარმოების პროცედურები.

მუხლი 2. ეტიკის კოდექსის მიზნები და ამოცანები

1. წინამდებარე ეტიკის კოდექსი:

- ა) აღწერს სასწავლებლის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს;
- ბ) აკადემიაში დამკვიდრებული ღირებულებების, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად ადგენს აკადემიის თანამშრომლებისა და სტუდენტების ქცევის სტანდარტებს და წესებს, ეტიკის ნორმებს და სასწავლებლის ღირებულებებს;
- გ) სთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს სტუდენტებსა და აკადემიის თანამშრომლებს შესაძლო ეთიკური დილემის მოგვარების მიზნით;
- დ) ქმნის სასწავლებელში ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებულ ურთიერთობების სისტემას.

2. ამ კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს და დაამკვიდროს პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ აკადემიის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა.
3. ეტიკის კოდექსი არ მოიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მიაწოდოს ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შესძლებენ იმოქმედონ ეთიკური სტანდარტებისა და წესების შესაბამისად;

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებები გეზუმლარი“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



4. ეთიკის კოდექსის ამოცანებია:

- ა) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
- ბ) კოლეგიალური და ლოიალური გარემოს ფორმირება და დამკვიდრება;
- გ) თანამშრომლებს, სტუდენტებსა და აკადემიაში მოღვაწე პირებს შორის კომუნიკაციური ბარიერების დაძლევა;
- დ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
- ე) ურთიერთპატივისცემის წახალისება;
- ვ) პასუხისმგებლობის ამაღლება;
- ზ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება.

მუხლი 3. ეთიკის სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები

- 1. ეს კოდექსი ადგენს აკადემიის თანამშრომლების და სტუდენტების ეთიკის საერთო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა თითოეული მათგანისათვის.
- 2. ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა აკადემიის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

- ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის ნებისმიერი სახით შეშლა;
- ბ) თამბაქოს მოწევა შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის მიღმა;
- გ) ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, გარდა ადმინისტრაციის მიერ ნებადართული შემთხვევებისა;
- დ) აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება;
- ე) ქონების არა დანიშნულებისამებრ გამოყენება და დაზიანება;
- ვ) ტერიტორიის დანაგვიანება;
- გ) ბილწისიტყვაობა;

ND 2-O20
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №2
რევიზიის თარიღი 22.01.2018
მოქმედებაშია 02.11.2016

შეშვად არ ჩაითვალოს დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებების უზრუნველყოფის რევიზია“ რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- ზ) შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის (ნებისმიერი სახის);
- თ) ტერიტორიაზე პარკირების წესების დარღვევა;
- ი) დასაქმებული პირისა და სტუდენტისთვის შეუფერებელი საქციელი (ფარგლები ეთიკის კომისიის მსჯელობის საგანია);
- კ) აკადემიის ტერიტორიაზე და მის პერიმეტრზე ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
- ლ) ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და სხვა ნებისმიერი სახის დისკომფორტის გამომწვევი ქმედება;
- მ) ნებისმიერი პირის დისკრიმინაცია (დისკრიმინაციად ითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით);
- ნ) სხვა პირის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებებების ცადენის მცდელობა, მათ შორის, მოტყუებით ან მუქარით;
- ო) ჰიგიენის, სანიტარული და უნიფორმის ტარების წესების დარღვევა.

აკადემიური პერსონალის ეთიკის კოდექსი

მუხლი 4. აკადემიური პერსონალი და მასწავლებელი

1. აკადემიური პერსონალისა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და ასისტენტი) და მასწავლებლის ძირითადი მოვალეობაა:
 - ა) თავისი ფუნქცია-მოვალეობები შეასრულოს მაღალი ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვით;
 - ბ) იყოს მომთმენი და ლოიალური განსხვავებული აზრის მიმართ;
 - გ) იხელმძღვანელოს გავრცელებული და დამკვიდრებული ზნეობრივი ღირებულებებით სხვა პირებთან ურთიერთობის დროს;

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

შეშვად ან ჩაიხილოს დოკუმენტის ანგარიშ ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებები გეგმულად“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაიხილეს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- დ) ისწრაფვოდეს სულიერი, მორალური, ღირებულებათა კომპლექსის განვითარებასა და გავრცელებისაკენ, საყოველთაო პატივისცემის გარემოს გაფართოებისკენ;
- დ) იყოს აკადემიური თავისუფლების პრინციპების ერთგული.
2. აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა საქმიანობა და სტუდენტებთან ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს მაღალაკადემიურ და ეთიკურ სტანდარტებზე.
 3. აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებელმა უნდა შექმნას ადეკვატური პირობა გამჭვირვალე აკადემიური გარემოს არსებობისა და გაძლიერებისთვის.
 4. დაგმოს და გაემიჯნოს ნებისმიერი სახის აკადემიურ არაკეთილსინდისიერებას, პლაგიატს, მეცნიერულ/აკადემიურ სიყალბეს. მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად.
 5. პატივი სცეს და დაიცვას სტუდენტების აკადემიური თავისუფლება.
 6. აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები ვალდებული არიან პატივისცემით მოეპყრან სტუდენტებს და გაუწიონ მათ აკადემიური და ინტელექტუალური ხელმძღვანელობა.
 7. სტუდენტის შეფასების პროცესში აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებლებმა უნდა იხელმძღვანელონ სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაბამისად. შეფასება დაფუძნებული უნდა იყოს აკადემიურ მოსწრებაზე და არა პიროვნულ მახასიათებლებზე, როგორცაა: სქესი, რელიგია, რასობრივი კუთვნილება, პიროვნული ღირებულებები, პოლიტიკური შეხედულებები და სხვა;
 8. აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებლებმა სტუდენტებს უნდა მიაწოდონ სრული ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ;
 9. აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების მიერ არ უნდა იქნას ჩადენილი ისეთი ქმედება, რაც რომელიმე სტუდენტს ჩააყენებს სხვებთან შედარებით არახელსაყრელ ან პრივილეგირებულ მდგომარეობაში;
 10. აკადემიურმა პერსონალი და მასწავლებლები მოქმედებს პერსონალური ინფორმაციის პატივისცემისა და დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით. (მაგალითად: აკადემიური მოსწრების, პირადი ცხოვრების, პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების შესახებ), გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ შემთხვევებისა;
 11. აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებლებმა არ უნდა გამოიყენონ სტუდენტები პირადი სარგებლის მიზნით (ამაში არ იგულისხმება აკადემიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სტუდენტური რესურსების გამოყენება);

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლიანობის პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bmsa.edu.ge



12. აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებლებმა არ უნდა გაუწიოს დისკრიმინაცია სტუდენტებს რასობრივი, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური, ეთნიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, ასაკის ან სხვა მსგავსი გარემოებების საფუძველზე;
13. აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებლებმა ა თავიდან უნდა აიცილონ სტუდენტებთან ისეთი არაფორმალური ურთიერთობი რომელიც:
 - ა) საფრთხეს შეუქმნის აკადემიური პერსონალის და მასწავლებლის მიერ სტუდენტის ობიექტურად და სამართლიანად შეფასებას;
 - ბ) სტუდენტს პირადი სიმპატიის, კონფლიქტის ან კოლეგებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად აქცევს;
 - გ) ხელს შეუწყობს თანამდებობის პირის საყოველთაოდ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი პატივისცემის დისკრედიტაციას;
14. აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებლებმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან და საქმიანობაში ჩართვისაგან ან ვალდებულებების აღებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის მათ მიერ სასწავლებლის წინაშე ნაკისრი მოვალეობების სრულფასოვნად შესრულებას ან/და გამოიწვევს სასწავლებლის დისკრედიტაციას;
15. აკადემიურმა პერსონალმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მის მიერ სასწავლებელთან აფილირების მდგრადობას;
16. აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებლებმა დანიშნულებისამებრ და ეფექტურად უნდა გამოიყენოს სასწავლებლის შენობა-ნაგებობები, ტექნიკა, აღჭურვილობა, მატერიალური სიკეთე და იზრუნოს მათ სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნებაზე;
17. აკადემიურმა პერსონალმა და მასწავლებლებმა ანაზღაურებადი დრო, მისი ფიზიკური რესურსები და ინტელექტუალური საკუთრება უნდა გამოიყენოს ძირითადად ორგანიზაციული მიზნებისათვის.

მუხლი 5. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ეთიკის ნორმები

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოვალეობა აკადემიაში შექმნას სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მორალური-ფსიქოლოგიური, მატერიალურ-ტექნიკური, საფინანსო-ეკონომიკური გარემო.

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აქტიური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიონი“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლებრივი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი პატივის უნდა სცემდეს აკადემიასა და მის ტრადიციებს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით. ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლებისა და სტუდენტების დისკრიმინაციას სქესისა და ასაკის, რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე.
3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის, ზნეობისა და მორალის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას; ხელს უწყობდეს საზოგადოებაში აკადემიის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. ამ მიზნით ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უნდა ემორჩილებოდეს აკადემიის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და არსებულ კანონმდებლობას;
4. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია:
 - ა) იზრუნოს აკადემიის სახელსა და ავტორიტეტზე და არ დაუშვას მისი შელახვა;
 - ბ) შექმნას სწავლა/სწავლებისათვის ხელსაყრელი პირობები და გარემო;
 - გ) გაუფრთხილდეს აკადემიის ქონებასა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს და გამოიყენოს იგი დანიშნულებისამებრ.
 - დ) არ გამოიყენოს აკადემიის რესურსები პირადი მიზნებისთვის;
 - ე) გაუფრთხილდეს აკადემიის დოკუმენტაციას, არ დაუშვას მასში ასახული ინფორმაციის გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ქმედება ემსახურება კანონიერ მიზანს;
 - ვ) გონივრულად, სრულად და კეთილსინდისიერად გამოიყენოს სამუშაო დრო;
5. დაუშვებელია სტუდენტისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის (ქრთამი) მიღება;
6. ადმინისტრაციულმა პერსონალმა ეფექტურად და სათანადოდ უნდა გამოიყენოს სასწავლებლის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და დრო. სასწავლებლის მიერ ანაზღაურებული დრო, მისი ფიზიკური რესურსები და ინტელექტუალური საკუთრება გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ორგანიზაციული მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის ნებართვა არსებობს.
7. ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის არსებული სამსახურებრივი ურთიერთობები უნდა იყოს პროფესიონალური, კოლეგიალური, ლოიალური და ეთიკური. მიუღებელია ანონიმური წერილების წარმოება, დაუსაბუთებელი (ან თუნდაც დასაბუთებული) განცხადებები და კომენტარები კოლეგის სამსახურებრივი საქმიანობისა და პირადი ცხოვრების განხილვა-განსჯის შესახებ.
8. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩაცმულობა და გარეგნული იერი უნდა შეესაბამებოდეს მათ თანამდებობრივ მდგომარეობას, სასწავლებელში მოქმედ ჩაცმის სტილს;

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დოკუმენტი ვე ვერმალარი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართალი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



9. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლების მიერ ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი ზომები.

მუხლი 6. სტუდენტთა ქცევის ეთიკის ნორმები ეთიკის კოდექსი

1. წინამდებარე კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად მიიჩნევა:
- ა) პირი, რომელიც სწავლობს მოკლევადიან, სასერტიფიკატო, პროფესიული განათლების, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მუხლი 7. სტუდენტის ქცევის ეთიკის პრინციპები

1. აკადემიის ყველა სტუდენტზე თანაბრად ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა, აკადემიის წესდება, აკადემიის მარეგულირებელი აქტები და თავისუფლა, თაბარად ხელმისაწვდომია სასწავლებლის ადამიანური და მატერიალური რესურსები.
2. სტუდენტი სრულად უნდა იზიარებდეს აკადემიის წესდების, შინაგანაწესის, „გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და სტუდენტთა მიღწევების შეფასების პროცედურის“, „დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ დებულებებს, ღირებულებებსა და პრინციპებს. კეთილსინდისიერად და განუხრელად იცავს მათ.

მუხლი 8. სტუდენტის ეთიკური ვალდებულებები

1. სტუდენტი პატივს სცემს საკუთარი და სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, განსხვავებულ აზრს, ასევე მათ პირად ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებსა და უფლებებს.
2. აკრძალულია სხვა პირის დისკრიმინაცია ან მისდამი არატოლერანტული დამოკიდებულება ნებისმიერი განსხვავებულობის გამო - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის,

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიზის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.
3. სტუდენტი პატივს სცემს აკადემიის სახელს, იმიჯს და საქმიან რეპუტაციას, ასევე, უფრთხილდება აკადემიის ქონებას.
 4. სტუდენტი პატივს სცემს სხვა სტუდენტების სწავლის უფლებას და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

მუხლი 9. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები

1. სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევად ჩაითვლება:
 - ა) აკადემიური თაღლითობა (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომელიც არ არის ნებადართული, როგორც აკადემიის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ);
 - ბ) აკადემიური სიყალბე - ფაქტების, მასალების ფალსიფიცირება დამახინჯება, დაუსაბუთებელი, ზედაპირული არაკადემიური კვლევების შესრულება, ანალიზი და შეფასება;
 - გ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება);
 - დ) სხვა სტუდენტისთვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
 - ე) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
 - ვ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;
 - ზ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;
 - ზ) იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება სასურველი არაკუთვნილი, უკანონო შედეგის მიღების მიზნით;
 - თ) საგამოცდო მასალების მონიშვნა, გაყალბება მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;
 - ი) აკადემიური მოსწრების მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება;
 - კ) აკადემიის პერსონალზე ზეწოლა შეფასების სასურველი არაკუთვნილი, უკანონო შედეგის მიღების მიზნით;
 - ლ) აკადემიაში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების განზრახ არასრულად წარდგენა.
 - მ) სხვა ქმედებების განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკის კოდექსის ზოგად წესებს და რომელსაც ვერ ჩამოთვლის წინამდებარე ეთიკის კოდექსი.

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცვლილება“. რევიზია ასევე დაატანს პროცეს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამხარეო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილო ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 10. პასუხისმგებლობა ეთიკის საერთო წესების დარღვევისათვის

1. წიანმდებარე კოდექსით არაეთიკურად ცნობილი ქმედების ჩადენის გამო სტუდენტის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, შინაგანაწესის საფუძველზე განსაზღვრავს აკადემიის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების საფუძველზე შექმნილი კომისია.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. პიროვნების პასუხისმგებლობა იზრდება ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების განმეორებითი დარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ხარისხის პროპორციულად.
2. აკადემიის თანამშრომლებისა და მასწავლებლების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით დადგენილი წესით. მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირს წერილობით უნდა ეცნობოს. გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული.
3. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა ხდება წესდების, შინაგანაწესის, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით დადგენილი წესის, ეთიკის კოდექსისა და "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას და ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.
4. ეთიკის კოდექსი გამოყენებულ უნდა იქნეს აკადემიის მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

12. დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანა

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულების დებულების შემუშავების ინსტრუქციის“ ND 2-Q05-04 შესაბამისად.
2. ცვლილების ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, რექტორის მოადგილეები ან/და სტრუქტურული ერთეულების უფროსი, სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე, იურიდიული დეპარტამენტი.
3. დებულება და მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება ხდება სენატის მიერ.

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



13. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია;
www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დაკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით;

ND 2-O20

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №2

რევიზიის თარიღი 22.01.2018

მოქმედებაშია 02.11.2016

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის არევიზია ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღრიცხული ეგზემპლარი. რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ ცვლადი შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge